

პენიტენციური
დაწესებულებების
მონიტორინგის
გზამკვლევი



პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის გზამკვლევი



წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი.

სარჩევი

მონიტორინგის საბაზისო პრინციპები გაეროს ადამიანის უფლებათა	
მონიტორინგის სახელმძღვანელოს მიხედვით	7
მონიტორინგის ეტაპები	8
მონიტორინგის დროს შესამოწმებელი ძირითადი დოკუმენტაცია	9
ძირითადი საკითხები	13
1. თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური ძალის გამოყენება	14
2. სპეციალური (შეკავების) საშუალებების გამოყენება	18
3. პატიმრებს შორის ძალადობა	22
4. იზოლაცია	23
5. პატიმრების დასჯა	27
6. ჩხრეკა	32
7. პატიმრების მიღება და განთავსება	36
8. საცხოვრებელი პირობები	40
ა) საცხოვრებელი ფართი - გადატვირთულობა	40
ბ) საცხოვრებელი პირობები და პირადი ჰიგიენა	41
9. მსჯავრდებულების რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია	49
ა) კონტაქტი გარე სამყაროსთან	50
ბ) პატიმართა დასაქმება	56
გ) მსჯავრდებულთა განათლება	60
10. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები (ბრალდებულები)	64
11. უვადო მსჯავრდებულები	68
12. მოშიშნულ პატიმრები	72
13. სამედიცინო მონიტორინგის ძირითადი საკითხები	75

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი

მუხლი 19

პრევენციის ეროვნულ მექანიზმებს ენიჭებთ შემდეგ უფლებამოსილებათა მინიმუმი:

- მე-4 მუხლში მითითებულ დაკავების ადგილებში მყოფ თავისუფლებალკვეთილ პირთა მიმართ ქცევის წესების რეგულარული შემოწმება, მათი დაცვის გაძლიერების მიზნით წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან;
- შესაბამისი ორგანოებისათვის რეკომენდაციების წარდგენა თავისუფლებალკვეთილ პირთა პირობებისა და მათ მიმართ მოპყრობის გაუმჯობესების, ასევე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, გაეროს შესაბამისი ნორმების გათვალისწინებით.
- არსებულ კანონმდებლობასთან ან კანონპროექტებთან დაკავშირებით წინადადებისა და შენიშვნების წარდგენა.

მუხლი 20

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ თავიანთი მანდატის განხორციელების მიზნით, წინამდებარე ოქმის მხარეები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ ისინი:

- იმ ინფორმაციით სარგებლობის უფლებით, რომელიც ასახავს მე-4 მუხლით გათვალისწინებულ დაკავების ადგილებში მყოფ თავისუფლებალკვეთილ პირთა და ასევე მათი დაკავების ადგილების რაოდენობასა და მათ ადგილმდებარეობას;
- იმ ინფორმაციით სარგებლობის უფლებით, რომელიც შეეხება ამ პირთა მიმართ მოპყრობის და ასევე მათი დაკავების პირობებს;
- დაკავების ადგილებსა და იქ არსებულ შენობა-ნაგებობებში შეუზღუდავი შესვლის უფლებით;
- მოწმეების გარეშე, პირადად ან თარჯიმნის დახმარებით, თავისუფლებალკვეთილ პირებთან, ასევე ნებისმიერ იმ პირებთან კერძო საუბრის გამართვის შესაძლებლობით, რომლებსაც შეუძლიათ პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;
- მოსანახულებელი ადგილების ან პირების საკუთარი შეხედულებისამებრ არჩევის უფლებით; (გ) პრევენციის ქვეკომიტეტთან ურთიერთობის, მისთვის ინფორმაციის წარდგენის და მასთან შეხვედრის უფლებით.

მუხლი 21

1. არც ერთი ორგანო ან თანამდებობის პირი არ გამოიყენებს რაიმე სანქციას ან არ გასცემს სანქციის გამოყენების ბრძანებას ან ნებართვას რომელიმე პირის ან ორგანიზაციის მიმართ, მათ მიერ პრევენციის ეროვნული მექანიზმისათვის ნამდვილი თუ ყალბი ინფორმაციის მიწოდების გამო, ასევე არ შეზღუდავს ასეთ პირს ან ორგანიზაციას რაიმე სხვა წესით.
2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შეგროვებული კონფიდენციალური ინფორმაცია არ ექვემდებარება გამჟღავნებას. პირადი მონაცემები არ გამოქვეყნდება დაინტერესებული მხარის მკაფიოდ ფორმულირებული თანხმობის გარეშე.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“

მუხლი 19

1. საქართველოს სახალხო დამცველი ან სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ამოწმებს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას; პირადად ხვდება და ესაუბრება დაკავებულებს, პატიმრობაში მყოფთ და მსჯავრდებულებს; ამოწმებს აღნიშნულ დაწესებულებებში მათი ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.
2. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირთა ქცევის რეგულარული შემოწმების, ასევე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან მათი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველი/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი: ა) მოწმის გარეშე, პირადად ან თარჯიმნის მეშვეობით ხვდება და ესაუბრება დაკავებულებს, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირებსა და მსჯავრდებულებს, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ აღნიშნულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ბ) ამოწმებს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირთა იქ ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.
3. საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის შეხვედრა დაკავებულებთან, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან და მსჯავრდებულებთან, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირებთან კონფიდენციალურია. რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია.

მუხლი 19¹ (16.07.2009 N 1462)

1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველთან იქმნება სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომელიც რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით.

- სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სათანადო განათლება, პროფესიული გამოცდილება და საქმიანი და მორალური თვისებებით შეუძლია შეასრულოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციები.
- სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.
- პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები მოქმედებენ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნების საფუძველზე და ანგარიშვალდებული არიან მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველის წინაშე.
- სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს უფლება აქვთ, არ მისცენ ჩვენება იმ ფაქტის გამო, რომელიც მათ გაანდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას. მათ ეს უფლება უნარჩუნდებათ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.
- არ შეიძლება სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისთვის განკუთვნილ საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე, საფოსტო გზავნილზე ყადაღის დადება, მათი შემოწმება და ამოღება.

მუხლი 20.

- სახელმწიფო, კომერციულ ან კანონით დაცული სხვა საიდუმლოს შემცველი ინფორმაცია საქართველოს სახალხო დამცველს გადაეცემა კანონით დადგენილი წესით.
- საქართველოს სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ვალდებული არიან, არ გაამჟღავნონ საიდუმლო და კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაცია, აგრეთვე, პირის მკაფიოდ გამოხატული თანხმობის გარეშე, — მისი წამებისა და მის მიმართ სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ ინფორმაცია.

მონიტორინგის საბაზისო პრინციპები გაეროს ადამიანის უფლებათა მონიტორინგის სახელმძღვანელოს მიხედვით

- არ ავნო** – განსაჯე, რა არის თავისუფლებააღკვეთილი პირის საუკეთესო ინტერესი. დაფიქრდი, რა საბოლოო მიზანს ემსახურება მიღებული ინფორმაციის გასაჯაროება და ხომ არ არსებობს უფლებადარღვეული პირის ინტერესების უფრო უკეთ დაცვის საშუალება?
- იცოდე შენი უფლება-მოვალეობები** – რას მოიცავს მონიტორის მანდატი, რომელი აქტი ანიჭებს მონიტორს ამ უფლებამოსილებებს და რა არის ვიზიტის მიზანი; დაიცავი ვიზიტის ადგილის წესები, განსაკუთრებით, უსაფრთხოების თვალსაზრისით.
- იცოდე სტანდარტები** – რომლებთან მიმართებაშიც მოწმდება დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა.
- გამოიყენე სადი აზრი და მსჯელობის უნარი** – მონიტორს უნდა შეეძლოს კონკრეტული წესების კონკრეტულ სიტუაციებზე მორგება. დარღვევების კონკრეტული მიზეზების დადგენა მათი აღმოფხვრის ეფექტური გზების დასახვის გარანტიაა.
- იყავი ობიექტური, სამართლიანი და მიუკერძოებელი** – არ ჩაატარო მონიტორინგი წინასწარი განწყობით; არ ეცადო ყველაფერში დარღვევის აღმოჩენას; გამოიყენე ტრიანგულაციის მეთოდი – მოიპოვე ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან და მათი შეჯერებით გამოიტანე საბოლოო დასკვნა.
- ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნე სიმშვიდე და პროფესიონალიზმი** – კონკრეტულ პირებთან ცხარე კამათში შესვლა, როგორც წესი, აფერხებს მონიტორინგის პროცესსა და საბოლოო მიზნის მიღწევას. ჩაინიშნე, რაც გესმის და მოგვიანებით, ცივი გონებით განსაჯე, რისი გაკეთება სჯობს. იმაზეც დაფიქრდი, ხომ არაფერი შეგეშალა და როგორ შეიძლება შეცდომის გამოსწორება.
- პატივი ეცი თანამოსაუბრეს, მიუხედავად მისი სტატუსისა** – გახსოვდეს, რომ როგორც წესი, პრობლემა არა კონკრეტულ ადამიანებში, არამედ მანკიერ სისტემაში ან არასწორ პრაქტიკაშია.
- დაიცავი კონფიდენციალობა** – ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც კონკრეტულ პირს ეხება, კონფიდენციაურია და მის გასამჟღავნებლად პირის წერილობითი და გაცნობიერებული თანხმობაა საჭირო.
- იყავი სანდო და ცნობადი** – მონიტორინგის ეფექტურობის ერთ-ერთი გარანტი რეგულარული და ხშირი ვიზიტებია. არასოდეს დაპირდე პატიმარს ან ციხის თანამშრომელს ის, რისი შესრულებაც არ შეგიძლია. ნდობის და ავტორიტეტის მოსაპოვებლად, რაც, საბოლოო ჯამში, სანდო და ექსკლუზიური ინფორმაციის მოპოვების ერთადერთი წყაროა, დრო, მოთმინება და პროფესიონალიზმი საჭირო.

მონიტორინგის ეტაპები

1. მოსამზადებელი ეტაპი:

- ვიზიტის გეგმის შემუშავება (დაწესებულებები, მონიტორინგის ხანგრძლივობა)
- პრიორიტეტების განსაზღვრა (არასავალდებულო);
- ჯგუფის ფორმირება;
- საჭირო ინფორმაციის და დოკუმენტაციის გამოთხოვა;
- შესაბამისი კითხვარების შემუშავება (არასავალდებულო).

2. დანახულებების ვიზიტი:

- ადმინისტრაციასთან გასაუბრება;
- დოკუმენტაციის შემოწმება;
- დაწესებულების ინფრასტრუქტურის დათვალიერება;
- პატიმრებთან გასაუბრება;
- თანამშრომლებთან გასაუბრება;
- ვიზიტის შედეგების პირველადი შეჯამება ჯგუფის წევრებს შორის (ერთდღიანი ვიზიტის შემთხვევაში);
- საბოლოო გასაუბრება ადმინისტრაციასთან – ზეპირი რეკომენდაციების გაცემა.

3. შემაჯამებელი ეტაპი:

- არასათანადო მოპყრობის შემთხვევების შესაბამისი ორგანოებისთვის გადაგზავნა;
- ვიზიტის შემდგომი ანგარიშის მომზადება;
- ანგარიშის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა;
- რეკომენდაციების განხორციელების კონტროლი.

მონიტორინგის დროს შესამოწმებელი ძირითადი დოკუმენტაცია

- დისციპლინური პატიმრობის მოხდის სარეგისტრაციო ჟურნალი;
- დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღებისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულზე არსებული დაზიანების აღრიცხვის ჟურნალი;
- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ დაწესებულების დროებით დატოვების აღრიცხვის ჟურნალი;
- ბრალდებულის/მსჯავრდებულის გასეირნების ადგილზე გაყვანის აღრიცხვის ჟურნალი;
- ბრალდებულის/მსჯავრდებულის საექიმო სამედიცინო პუნქტში/სამედიცინო ნაწილში გაყვანის რეგისტრაციის ჟურნალი;
- დეესკალაციის ოთახში მოთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა აღრიცხვის ჟურნალი;
- სააბაზანოში გაყვანის აღრიცხვის ჟურნალი;
- ძალის/სპეციალური საშუალებების/ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი (ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, აღრიცხვის ფორმები);
- ინსტრუქციები საგანგებო სიტუაციების მართვის/ძალის გამოყენების შესახებ.
- და სხვა

1. თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური ძალის გამოყენება

დანახულებადი ვიზიტად:

- გარკვეული პერიოდის მანძილზე ძალის გამოყენების შემთხვევების ამსახველი დოკუმენტაცია (ოქმი, პატაკი, სამედიცინო ჩანაწერი, სხვა);
- ინსტრუქციები/გაიდლაინები ძალის გამოყენებაზე;
- გარკვეული პერიოდის მანძილზე/რეგულარულად თანამშრომლების მიერ განვლილი ტრენინგების ჩამონათვალი ძალის გამოყენებაზე;
- ყოფილა თუ არა თანამშრომლის დისციპლინური ან სხვა სახის პასუხისმგებლობის საკითხი დასმული ძალის არამართლზომიერი გამოყენებისთვის - რა გადაცდომისთვის, რა სახის პასუხისმგებლობა.

პატიმრებთან გასაუბრებისას:

- ყოფილა თუ არა თანამშრომლების მხრიდან ძალის გამოყენების შემთხვევა - რა მიზეზით, რა ფორმით და ვის წინააღმდეგ (დეტალური აღწერა, მათ შორის, ძალის გამოყენების ინტენსივობის და ხანგრძლივობის); შესაძლებელი იყო თუ არა კონკრეტული თანამშრომლების იდენტიფიცირება (ნიღბების ტარების შემთხვევაში, ბეჯით, ნომრით ან სხვა ნიშნით);
- აქვთ თუ არა ინფორმაცია (დასაიდან), რა შემთხვევებში არის დასაშვები თანამშრომლების მხრიდან ძალის გამოყენება;
- თუ ძალის გამოყენების ობიექტი ადგილობრა - რა მიზეზით და რა ფორმით მოხდა მის მიმართ ძალის გამოყენება (დეტალური აღწერა); ძალის გამოყენებამდე მიეცა თუ არა გაფრთხილება სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტის თაობაზე; შედგა თუ არა შესაბამისი ოქმი, გააცნეს თუ არა და მიეცა თუ არა წერილობითი კომენტარის/შენიშვნის გაკეთების საშუალება (იმავე ოქმში, ცალკე დოკუმენტში); მონახულა თუ არა ექიმმა და დასჭირდა თუ არა სამედიცინო დახმარება; გაასაჩივრა თუ არა და რა შედეგით, მათ შორის, შეძლო თუ არა მან ან მისმა წარმომადგენელმა შესაბამისი ვიდეომასალის მოპოვება.

თანამშრომლებთან გასაუბრებისას:

- გამოყენებია თუ არა ძალა პატიმრების მიმართ - რა მიზეზით (შემთხვევის დეტალური აღწერა), რა ფორმით (პროცედურის დეტალური აღწერა);
- გავლილი აქვს თუ არა რაიმე სახის ტრენინგი ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით - როდის, რა სახის/ხანგრძლივობის, ვისი ორგანიზებული;
- რა შემთხვევებში აქვს ძალის გამოყენების უფლებამოსილება - არსებობს თუ არა შესაბამისი წერილობითი ინსტრუქციები/გაიდლაინები და რა სახით გაცნო მათ;
- რა სახის დოკუმენტაციის შედგენა ევალება ძალის გამოყენების შემთხვევებზე და ვის მიმართ არის ანგარიშვალდებული და რა ფორმით.

2. სპეციალური (შეკავების) საშუალებების გამოყენება

დაწესებულებაში ვიზიტად

- გარკვეული პერიოდის მანძილზე სპეციალური საშუალებების გამოყენების შემთხვევების ამსახველი დოკუმენტაცია (ოქმი, პატაკი, ექიმის ჩანაწერი, სხვა);
- ინსტრუქციები/გაიდლაინები სპეციალური საშუალებების გამოყენებაზე;
- გარკვეული პერიოდის მანძილზე/რეგულარულად თანამშრომლების მიერ განვლილი ტრენინგების ჩამონათვალი სპეციალური საშუალებების გამოყენების ტექნიკაზე;
- ყოფილა თუ არა თანამშრომლის დისციპლინური ან სხვა სახის პასუხისმგებლობის საკითხი დასმული სპეციალური საშუალებების არამართლმომიერი გამოყენებისთვის - რა გადაცდომისთვის, რა სახის პასუხისმგებლობა.

პატიმართან გასაუბრებისას

- ყოფილა თუ არა სპეციალური საშუალებების გამოყენების შემთხვევა - რა სახის სპეცსაშუალება იქნა გამოყენებული, რა მიზეზით, რა ფორმით და ვის წინააღმდეგ (დეტალური აღწერა, მათ შორის, ხანგრძლივობის); შესაძლებელი იყო თუ არა იმ პირების იდენტიფიცირება, ვინც სპეცსაშუალება გამოიყენა;
- აქვთ თუ არა ინფორმაცია (და საიდან), რა სახის სპეცსაშუალებების გამოყენება დასაშვებია, რა შემთხვევებში და რა ფორმით (ხანგრძლივობით);
- თუ სპეცსაშუალების გამოყენების ობიექტი ადგილზეა - რა სახის სპეცსაშუალება გამოიყენეს მის მიმართ, რა მიზეზით და რა ფორმით/ხანგრძლივობით (დეტალური აღწერა); სპეცსაშუალების გამოყენებამდე მიეცა თუ არა გაფრთხილება სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტის თაობაზე; სპეცსაშუალების გამოყენების შემდეგ შედგა თუ არა შესაბამისი ოქმი, გააცნეს თუ არა და მიეცა თუ არა წერილობითი კომენტარის/შენიშვნის გაკეთების საშუალება (იმავე ოქმში, ცალკე დოკუმენტში); გაასაჩივრა თუ არა და რა შედეგით, მათ შორის, შეძლო თუ არა მან ან მისმა წარმომადგენელმა შესაბამისი ვიდეომასალის მოპოვება.

თანამშრომლებთან გასაუბრებისას

- გამოუყენებია თუ არა რაიმე სახის სპეცსაშუალება - რომელი, რა მიზეზით (შემთხვევის დეტალური აღწერა), რა ხანგრძლივობით (პროცედურის დეტალური აღწერა);
- გავლილი აქვს თუ არა რაიმე სახის ტრენინგი სპეცსაშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით - როდის, რა სახის/ხანგრძლივობის, ვისი ორგანიზებული;
- რა შემთხვევებში რომელი სპეცსაშუალების გამოყენების უფლებამოსილება აქვს - არსებობს თუ არა შესაბამისი წერილობითი ინსტრუქციები/გაიდლაინები და რა სახით გაეცნო მათ;
- რა სახის დოკუმენტაციის შედგენა ევალება სპეცსაშუალების გამოყენების შემთხვევებზე, ვის მიმართ არის ანგარიშვალდებული და რა ფორმით.

3. პატიმრებს შორის ძალადობა

დანახაზულებაში ვიზიტაშუა

- დაწესებულებიდან და საგამოძიებო დეპარტამენტიდან - გარკვეულ პერიოდზე, პატიმრებს შორის ძალადობის სტატისტიკა; მიზეზები, რეაგირება და შედეგები ყოველ შემთხვევაზე;

პატიმრებთან გასაუბრებისას

- ყოფილა თუ არა ამ სხვა დაწესებულებაში პატიმრების შორის ძალადობის შემთხვევა; რა მიზეზით; რამდენად ხშირია; რა რეაგირება მოახდინეს თანამშრომლებმა/ადმინისტრაციამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე; ვინმე (პატიმარი, თანამშრომელი) დაისაჯა თუ არა და რა ფორმით;
- პატიმრის/პატიმრების მხრიდან ძალადობის მსხვერპლის გამოკითხვისას: რა მიზეზით, რა ფორმით (რეგულარობით) განხორციელდა მის მიმართ ძალადობა; მისი აზრით, იყვნენ თუ არა თანამშრომლები საქმის კურსში; რა რეაგირება მოახდინეს თანამშრომლებმა/ადმინისტრაციამ; მოინახულა თუ არა ექიმმა, დასჭირდა თუ არა სამედიცინო დახმარება; რა შედეგები მოყვა ინციდენტს - გაესაუბრა ადმინისტრაციას, დაკითხა გამომძიებელმა, სხვა; ვინმე დაისაჯა, თავად ან მოძალადე/მოძალადეები გადაიყვანეს სხვა დაწესებულებაში, სხვა.

თანამშრომლებთან/ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას

- რამდენად ხშირია პატიმრებს შორის ძალადობა;
- რა არის აღნიშნულის მიზეზები;
- როგორია მათი რეაგირების ფორმები - არსებობს წერილობითი ინსტრუქცია;
- ბოლო ორი ან რამდენიმე შემთხვევის დეტალური აღწერა, შემდგომი პროცედურების ჩათვლით.



4. იზოლაცია

დანახაზულებაში ვიზიტაშუა

- რამდენი პირი იმყოფება იზოლაციაში უსაფრთხოების/პრევენციული ღონისძიების სახით, თითოეული რა კონკრეტული მიზეზით, ვისი გადაწყვეტილებით (საკუთარი თხოვნით), რა ხანგრძლივობით და რა ვადით - გაგრძელდა თუ არა იზოლაციის ვადა, ვისი გადაწყვეტილებით, რამდენჯერ და რა პერიოდით; თითოეულ შემთხვევაში, რა უფლებები აქვთ შეზღუდული იზოლაციაში მყოფ მსჯავრდებულებს - შესაბამისი დოკუმენტაცია;
- რამდენმა მათგანმა გაასაჩივრა იზოლაციის ღონისძიება და რა შედეგებით.

იზოლირებულ მსჯავრდებულებთან გასაუბრებისას

- რა მიზეზით, ვისი გადაწყვეტილებით იმყოფებიან იზოლაციაში; რა ხანგრძლივობით და რა ვადით - გაგრძელდა თუ არა იზოლაციის ვადა, ვისი გადაწყვეტილებით, რამდენჯერ და რა პერიოდით; რა უფლებები აქვთ შეზღუდული;
- გაასაჩივრეს თუ არა იზოლაციის ღონისძიება - უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, რა მიზეზით; დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა ფორმით და რა შედეგით;
- საყოფაცხოვრებო პირობები - ინფრასტრუქტურის ხარისხი, წყალი, საკვები, განათება, გათბობა, ვენტილაცია; პირადი და ჰიგიენის ნივთების ხელმისაწვდომობა;
- დღის რეჟიმი - გასეირნება, სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობა, მაღაზიით, ბიბლიოთეკით სარგებლობა; კონტაქტი გარე სამყაროსთან - პაემნები, მედია საშუალებების ხელმისაწვდომობა.



5. პატიმრების დასჯა

დანახეულაგაში ვიზიტაშდე

მონიტორინგის ჯგუფმა წერილობითი ფორმით უნდა მიიღოს სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური სასჯელების გამოყენებაზე, სადაც დეტალურად, დაწესებულებების და რისკის ჯგუფების მიხედვით, იქნება მოცემული, თითოეულ შემთხვევაზე, შემდეგი სახის ინფორმაცია:

- როგორია პრაქტიკაში დისციპლინური ღონისძიების გამოყენების პროცედურა: ვინ იღებს გადაწყვეტილებას, როგორია ანგარიშგების, დასაბუთების, აღრიცხვის სისტემა;
- გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რამდენი პატიმრის მიმართ იქნა გამოყენებული დისციპლინური სახდელი და რა სახის;
- რა გადაცდომებისთვის იქნენ პატიმრები დასჯილები და თითოეულ შემთხვევაში რომელი სასჯელი შეეფარდათ;
- რამდენი მსჯავრდებულის მიმართ იქნა გამოყენებული დისციპლინური პატიმრობა და თითოეულზე რა ვადით, რამდენმა მათგანმა ისარგებლა დაცვის უფლებით, რამდენმა მათგანმა გაასაჩივრა, რა შედეგით.

დანახეულაგაში ვიზიტის დროს

დოკუმენტაციის შემოწმება: მონიტორები ამოწმებენ სამართლო საკნებში მოთავსებული პირების ჟურნალს, სადაც უნდა ფიქსირდებოდეს პირის განთავსების დრო და გარემოებები, განთავსებისაფუძველიდახანგრძლივობა; ასევე, მოწმდებაანებისმიერისახისდოკუმენტაცია, რომელსაცადმინისტრაცია აწარმოებს დისციპლინური ზომების გამოყენებისას (ამის თაობაზე ინფორმაცია გამოთხოვილია ვიზიტამდე) - დოკუმენტი (დირექტორის განკარგულება, სასამართლოს განჩინება) უნდა შეიცავდეს ყველა ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრულია პატიმრობის კოდექსით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტით; გულდასმით უნდა შემოწმდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზეზებიც, რომ პატიმრების დასჯა არ ხდებოდეს თვითნებურად, კანონით გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო.

დისციპლინური პატიმრობის ადგილის (სამართლო საკნის, საკნის ტიპის საცხოვრებლის) დათვალიერება: მოწმდება სამართლო საკნების განლაგება, მათი მოწყობა და პირობები - განათება, გათბობა, ვენტილაცია, სველი წერტილები და საპირფარეშო, სისუფთავე და სხვა.

8. საყოფაცხოვრებო პირობები

ა) საცხოვრებელი ფართი – გადატვირთულობა

დაწესებულებაში ვიზიტამდე და ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას:

- დაწესებულების ლიმიტი და მოცემულ მომენტში მასში განთავსებული პაციენტების რაოდენობა;
- წლის განმავლობაში რამდენი იყო პაციენტების მაქსიმალური რაოდენობა.

საკნების შემოწმებისას:

- საკნის ფართი, სიგრძე, სიგანე, სიმაღლე
- საწოლების რაოდენობა
- პაციენტების რაოდენობა
- საწოლების სახეობა (ერთ ან ორსართულიანი, ფიცარნაგი, სხვა).

პაციენტებთან გასაუბრებისას:

- როგორც წესი, რამდენი პირია განთავსებული ამ საკანში; რამდენი ყოფილა მაქსიმუმი;
- სხვა დაწესებულებაში/საკანში ყოფნისას ჰქონდათ თუ არა გადატვირთულობის პრობლემა.

ბ) საყოფაცხოვრებო პირობები და პირადი ჰიგიენა

საკნების დათვალიერებისას

- განათება: ფანჯრების რაოდენობა, ზომა, ცხაური, იღება თუ არა თავისუფლად; საკმარისი/ არასაკმარისი ბუნებრივი/ხელოვნური განათება; ჩამრთველი საკანშია თუ საკნის გარეთ; ნათურების ხელმისაწვდომობა.
- გაბიძგების სისტემა: ცენტრალური, ინდივიდუალური, არ არის; უსაფრთხოა თუ არა.
- სავენტილაციო სისტემა: ცენტრალური, ადგილობრივი, არ არის; ფუნქციონირებს თუ არა; ხმაურიანია თუ უხმაურო.
- საპირფარეშო: იზოლირებული; ნახევრად იზოლირებული (როგორ?); სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა; საკანში არ არის საპირფარეშო (ამ შემთხვევაში როგორ ხდება ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება?); ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირის განთავსების შემთხვევაში - რამდენად ადაპტირებულია და ადვილად მისაწვდომია საპირფარეშო და სველი წერტილები;
- წყალმომარაგების სისტემა: ონკანი/პირსაბანი საკანში; წყლის მიწოდების რეჟიმი (24 საათიანი, გრაფიკით, ჭურჭლით და სხვა).
- საკნის ზოგადი მდგომარეობა: კედლები (მაგ. ნესტიანი, საჭიროებს რემონტს); იატაკი - მასალა (ბეტონი, ლინოლეუმი, ხე, სხვა), მდგომარეობა; ჭერი (მაგ. ნესტიანი/ჩამოდის წყალი); მღრღნელების/მწერების/პარაზიტების არსებობა;
- ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირის განთავსების ადგილას - საკნის და კორპუსის ინფრასტრუქტურის ადაპტირებულობა;
- თანამშრომლის გამოსაძახებელი ღილაკი: არის/არ არის, არის, მაგრამ არ ფუნქციონირებს.
- ავეჯი: მაგიდა, სკამები/მერხები, ტუმბოები, სხვა.; ბავშვების განთავსების ადგილას - მათზე ადაპტირებული ინვენტარი;
- პირადი მოხმარების ნივთები: ქვეშავეები (ლეიბი, საბანი, ბალიში, თეთრეული); ელექტრო მოწყობილობები (ტელევიზორი, რადიო, მაცივარი, მაღულარა, ვენტილატორი, სხვა); ჭურჭელი; მაგიდის თამაშები; წიგნები, პრესა, საწერი მოწყობილობები, სხვა.
- პირადი ჰიგიენის ნივთები: კბილის ჯარჯისი, კბილის პასტა, შამპუნი, საპონი, ღრუბელი (ნეჭი), საპარსი, პირსახოცი, ჰიგიენური პაკეტები (ქალი პაციენტები), ბავშვის საფენები

და ბავშვის მოვლისთვის საჭირო სხვა ნივთები (ბავშვიანი დედების განყოფილებაში), სხვა.

პატიმრებთან გასაუბრებისას

სასმელი წყალი:

- არის თუ არა 24 საათიანი წყალმომარაგება; არის თუ არა წყალი სასმელად ვარგისი (თუ პატიმრების დიდი რაოდენობა ამბობს, რომ წყალი სასმელად უვარგისია, ადმინისტრაციას უნდა მიეცეს რეკომენდაცია შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებაზე);

კვება:

- პრეტენზიები საკვებთან დაკავშირებით (გემო, ულუფის რაოდენობა, მრავალფეროვნება და სხვა); არის თუ არა დიეტური/დიაბეტური კვება: ვის მიეწოდება კონკრეტულად და რა პროცედურების გავლაა საჭირო (განცხადება, ზეპირი თხოვნა, ექიმის დასკვნა და სხვა); ითვალისწინებენ თუ არა რელიგიურ თავისებურებებს (რა სახით - მარხვა, რამადანი, ვეგანიზმი, სხვა) - საჭიროა განცხადებით მიმართვა, რაიმე დამადასტურებელი საბუთის წარდგენა, სხვა; საკვები მიეწოდებათ ადგილზე თუ გადიან სასადილოში - ხომ არ არის შეზღუდული საკვების მიღების დრო; დაწესებულების ხანმოკლე დატოვებისას (სასამართლოზე გასვლის დროს) არიან თუ არა უზრუნველყოფილი კვების ულუფით; ქალთა დაწესებულებაში - მიეწოდებათ თუ არა ბავშვის ასაკისთვის შესაფერისი საკვები;

პირადი ნივთები:

- რა ნივთების ქონა/შეძენა/ამანათით მიღება არის დაშვებული; მოქმედებს თუ არა სპეციფიკური სახის აკრძალვა (მაგ. ზოგიერთ ტანსაცმელზე (შორტები, ჯინსები, სხვა), რელიგიური დანიშნულების ნივთებზე, ფოტოებზე და სხვა);

პირადი ჰიგიენა:

- ვინ უზრუნველყოფს პატიმრებისთვის პირადი მოხმარების და ჰიგიენური ნივთების მიწოდებას - რომელ ნივთებს აწვდის ადმინისტრაცია, რა ინტენსივობით, რა ნივთების შექმნა უწევთ დაწესებულების მალაზიაში და რა არის დაშვებული ამანათის სახით და ა.შ.; რა დამატებითი ნივთები მიეწოდებათ ბავშვიან ქალებს;
- შხაპის მიღება - თავისუფლად, მოთხოვნით, წინასწარი ჩაწერით, სხვა; რეგულარობა; ხანგრძლივობა; ტემპერატურის რეგულირება;

- სადალაქო მომსახურება - ვინ უწევს საპარიკმახერო მომსახურებას და რა ინტენსივობით (დალაქი, იჭრის თავად, ჭრის თანამესაკნე); ხომ არ აიძულებს ადმინისტრაცია თმების სრულად გადაპარსვას, წვერის გაპარსვას;
- სარგებლობენ თუ არა სამრეცხაოთი - ვის გააქვს/შემოაქვს სარეცხი; თუ არ სარგებლობენ, სად რეცხავენ და აშრობენ ტანსაცმელს და თეთრეულს; სარეცხ საშუალებებს აწვდის ადმინისტრაცია (რა სიხშირით) თუ ყიდულობენ მალაზიაში;

საკნის/დაწესებულების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა:

- ვინ ალაგებს საკანს, საპირფარეშოს; რა რეგულარობით;
- ტარდება თუ არა საკნის დეზინფექცია/დეზინსექცია/დერატიზაცია და რა სიხშირით; ესწრებიან თუ არა პროცესს;
- როგორ, ვის მიერ და რა ინტენსივობით ხდება საკნიდან ნარჩენების გატანა; ხომ არ მოდის საკნამდე ნავაგსაყრელის სუნი;

გასეირნება/სპორტე:

- სარგებლობენ თუ არა ყოველდღიური გასეირნების უფლებით - რა რეგულარობით და ხანგრძლივობით; აქვთ თუ არა სპორტით დაკავების შესაძლებლობა; ხდება თუ არა სპორტული/სარეკრეაციო ღონისძიებების ორგანიზება (ვის მიერ, რა სახის, როგორია მონაწილეობის პირობები); რა შემთხვევაში ეკრძალებათ საკნიდან გასვლა;

მალაზია:

- რა პრეცედურების დაცვა უწევთ - პირადად ყიდულობენ თუ სიას გადასცემენ სამეურნეო სამსახურში დასაქმებულ პატიმარს; არის თუ არა შეზღუდვა მალაზიით სარგებლობისას (პროდუქციაში, დასახარჯ თანხაში, სხვა);

სხვა პრეტენზიები საყოფაცხოვრებო და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების მხრივ (ამჟამინდელი ან წარსულში განთავსების ადგილას/საკანში).

დაწესებულების დათვალიერებისას

საშხაპე:

- ოთახების რაოდენობა და შხაპების რაოდენობა თითოეულში; აქედან რამდენი ფუნქციონირებს გამართულად - მოდის თუ არა ცხელი და ცივი წყალი და როგორია ნაკადი;
- საიდან რეგულირდება ტემპერატურა;
- არის თუ არა გასახდელი;
- მიმდინარეობს თუ არა ვიდუო მეთვალყურეობა;
- გათბობა, განათება, ვენტილაცია;
- როგორია სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა.

სამრეცხალ:

- სარეცხი/საშრობი მანქანების რაოდენობა და სიმძლავრე; მათ შორის, რამდენი ფუნქციონირებს; სარეცხი საშუალებები ადგილზეა თუ მოაქვთ პატიმრებს;

სამზარეულო:

- ზოგადი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა; განათება, ვენტილაცია; ინვენტარის ჩამონათვალი; არის თუ არა თვალსაჩინო ადგილას გაკრული მენიუ, დასუფთავების წესები, შემოწმების შესახებ ინფორმაცია; მომსახურე პერსონალი არის თუ არა სპეციალურ ტანსაცმელში/ფეხსაცმელში/თავსაბურავში; განცალკევებულია თუ არა სხვადასხვა საკვებისთვის (ხორცი, თევზი, ბოსტნული) განკუთვნილი ინვენტარი შესაბამისი ნიშნულით (საჭრელი დაფები, დანები); მაცივრების მდგომარეობა - ინახება თუ არა სხვადასხვა საკვები ერთმანეთისგან განცალკევებით;

სასადილო:

- ინფრასტრუქტურის აღწერა; განათება, გათბობა, ვენტილაცია; რამდენი პატიმრის მიღებაა შესაძლებელი ერთდროულად;

მაღაზია:

- პროდუქციის სია და ფასები (ხომ არ არის განსხვავებული გარეთ არსებული ფასებისგან), პროდუქციის ვადები;

სასეირნო ეზო:

- რაოდენობა, ფართობი, ინვენტარი; არის თუ არა გადახურული;

ნაგავსაცხელი:

- სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა; მწერები/მღრღნელები; ვრცელდება თუ არა სუნი დაწესებულების ტერიტორიაზე.

ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას / დოკუმენტაციის შემოწმებისას

- რა სახის საჩივრები შემოდის საყოფაცხოვრებო და სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და როგორია მათი განხილვის/დაკმაყოფილების პროცედურა;
- რა სარემონტო სამუშაოები იგეგმება უახლოეს მომავალში;
- რა ახალი ინვენტარის შექმნა/შემოტანა იგეგმება - საკნებისთვის, სასეირნო ადგილებისთვის, სხვა;
- პატიმრებისთვის მისაწოდებელი ნივთების ჩამონათვალი;
- ვინ ადგენს მენიუს და რა სტანდარტების/პროცედურების დაცვით;
- ხელშეკრულებები:
- ნაგვის გატანა (მათ შორის, ემთხვევა თუ არა ხელშეკრულებაში მითითებული რეგულარობა პრაქტიკას);
- დეზინფექცია/დეზინსექცია/დერატიზაცია (მათ შორის, ემთხვევა თუ არა ხელშეკრულებაში მითითებული რეგულარობა პრაქტიკას);
- საკვების დამზადება (მათ შორის, ვინ ამოწმებს საკვების ხარისხს; ინახება თუ არა სინკები და რა ხანგრძლივობით);
- მაღაზია (მათ შორის, როგორ ხდება ვადაგასული პროდუქციის ამოღება);
- ვინ ასუფთავებს დაწესებულების სხვადასხვა ბლოკებს და რა სიხშირით.

9. მსჯავრდებულების რეაბილიტაცია და რესოსციალიზაცია

დაწესებულებაში ვიზიტამდე

- რა სახის ფსიქო-სოციალური, სარეაბილიტაციო პროგრამებია დაწესებულებაში;
- რა სახით იკვლევენ და ითვალისწინებენ მსჯავრდებულების კონკრეტულ საჭიროებებს პროგრამების შედგენისას;
- ვინ ახორციელებს მითითებულ პროგრამებს;
- რამდენი პატიმარია ჩართული ფსიქო-სოციალურ და სარეაბილიტაციო პროგრამებში;
- რამდენი ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკია დასაქმებული დაწესებულებაში და რა სახის დახმარებას/მხარდაჭერას უწევენ პატიმრებს;
- რა სიხშირით ხვდებიან ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები პატიმრებს;
- ხელმისაწვდომია თუ არა აღნიშნული სერვისები უცხოელი პატიმრებისთვის და რა სახით.

კითხვები პატიმრებს

- არიან თუ არა ჩართულები რაიმე სახის ფსიქო-სოციალურ და სარეაბილიტაციო პროგრამებში;
- მიუღიათ თუ არა მონაწილეობა გამოკითხვაში, რომლის მიზანიც მათი საჭიროებების დადგენა იყო; რამდენად იქნა გათვალისწინებული მათი აზრი/საჭიროება;
- ხვდებიან თუ არა ფსიქოლოგებს და სოციალურ მუშაკებს; დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა პროცედურებია მათთან შესახვედრად განსახორციელებელი და რა სახის დახმარებას უწევენ მათ.

ა) კონტაქტი გარე სამყაროსთან

დაწესებულებაში ვიზიტად:

განცხადებების/საჩივრების სტატისტიკა დროის გარკვეულ მონაკვეთზე:

- რამდენი განცხადება/საჩივარი შევიდა ადმინისტრაციის სახელზე; რა გზით - საჩივრების ყუთი, გადაეცა სოცმუშაკს, თანამშრომელს, სხვა; როგორია რეაგირების პროცედურა; რამდენი დაკმაყოფილდა;
- რამდენი განცხადება/საჩივარი გაიგზავნა სხვადასხვა უწყებებში; რამდენი არ გაიგზავნა და თითოეულ შემთხვევაში რა მიზეზით.

პაემნების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია დროის გარკვეულ მონაკვეთზე:

- რამდენმა პირმა ისარგებლა ვიდეოპაემნით (თვეების მიხედვით); რამდენ პირს ეთქვა უარი ვიდეოპაემნით სარგებლობაზე და თითოეულს რა მოტივით; რამდენი პირს მიეცა დამატებითი პაემნის საშუალება წახალისების ფორმით;
- რამდენმა პირმა ისარგებლა ხანგრძლივი პაემნით (თვეების მიხედვით); რამდენს ეთქვა უარი და თითოეულს რა მოტივით; რამდენს მიეცა დამატებითი ხანგრძლივი პაემანი წახალისების სახით;
- რამდენმა პირმა ისარგებლა საოჯახო პაემნით (თვეების მიხედვით); რამდენს ეთქვა უარი და თითოეულს რა მოტივით; რამდენს მიეცა დამატებითი საოჯახო პაემანი წახალისების სახით.

დაწესებულების დათვალიერებისას

- სამოგალოებრივი მისაღები - ინფრასტრუქტურა, პროცედურები; რამდენ პირს ემსახურება ერთდროულად;
- საჩივრის ყუთების რაოდენობა; ადგილმდებარეობა (რამდენად ხელმისაწვდომია პატიმრებისთვის), იკეტება თუ არა (საკეტი/ბოქლომი, არის თუ არა დალუქული);
- რამდენი ხანმოკლე პაემნის ოთახია დაწესებულებაში; მათი აღწერა (მათ შორის, გადატიხრულია მინით, რკინის ცხაურით, შესაძლებელია უშუალო პაემნის განხორციელება და ა.შ.); როგორ ხდება კონტროლი: ელექტრონულად/ვიზუალურად/ორივე; კონტაქტი შესაძლებელია ტელეფონის საშუალებით/პირისპირ;

- არის თუ არა დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისთვის ინფრასტრუქტურა; აღწერა; რა სახის ინვენტარია პაემნის ოთახებში: საწოლი, სკამი, მაგიდა, სკამი, ტუმბო, ტელევიზორი, მაცივარი და სხვა. არის თუ არა იზოლირებული აბაზანა და საპირფარეო;
- ტელეფონის აპარატების რაოდენობა, მათი განთავსების ადგილი; რამდენი მათგანი მუშაობს და საკმარისია თუ არა დაწესებულებაში განთავსებული პატიმრების რაოდენობისთვის;
- პრესის, მათ შორის, უცხოურის, ხელმისაწვდომობა (მაღაზიაში, ბიბლიოთეკაში, სხვა), საკნებში პატიმრებს აქვთ თუ არა ტელევიზორები, რადიომიმღებები, პრესა (გაზეთები/ჟურნალები).

პატიმრებთან გასაუბრებისას

- ინფორმირებული არიან თუ არა საჩივრის/განცხადების და წერილების, ამანათების გაგზავნის პროცედურების შესახებ (ვინ მიაწოდა აღნიშნული ინფორმაცია, როდის და რა ფორმით); სარგებლობენ თუ არა აღნიშნული უფლებით და რამდენად ხშირად; ხდება თუ არა რეაგირება მათ თხოვნებზე, საჩივრებზე და განცხადებებზე და მიეწოდებათ თუ არა პასუხი გაჭიანურების გარეშე; ინფორმირებულები არიან თუ არა, რა სახის გზავნილები მოწმდება ადმინისტრაციის მიერ და როგორ; ყოფილა თუ არა განცხადების, წერილის, ამანათის გაგზავნაზე/გადაცემაზე უარის შემთხვევა, რა მიზეზით, გაასაჩივრეს თუ არა და რა შედეგით; რა პროცედურებია უცხოურ ენაზე შედგენილი წერილების შემთხვევაში;
- სარგებლობენ თუ არა გრძელვადიანი პაემნით და როგორია პროცედურა; უსარგებლიათ თუ არა დამატებითი პაემნით; ყოფილა თუ არა უარის შემთხვევა და რა მიზეზით - გაასაჩივრეს თუ არა და რა შედეგით;
- სარგებლობენ თუ არა პაემნის უფლებით - თვეში რამდენჯერ; რა ხანგრძლივობით; რა პროცედურის დაცვით; რა სახის მეთვალყურეობაა ხანმოკლე პაემნის დროს (ოჯახის წევრის, ადვოკატის, საკონსულტო წარმომადგენლის, სასულიერო პირის შემთხვევაში), უსარგებლიათ თუ არა დამატებითი პაემნით; ყოფილა თუ არა პაემანზე უარის შემთხვევა - ვისთან და რა მიზეზით, გაასაჩივრეს თუ არა და რა შედეგით;
- უსარგებლიათ თუ არა ვიდეოპაემნით, ჰქონიათ თუ არა დამატებითი ვიდეოპაემანი; ყოფილა თუ არა ვიდეოპაემანზე უარის შემთხვევა, რა მიზეზით - გაასაჩივრეს თუ არა და რა შედეგით;

- სარგებლობენ თუ არა ტელეფონით; რა პროცედურებით (მაგ. წინასწარი წერილობითი განცხადება, უცხოურ ენაზე საუბრის აკრძალვა და ა.შ.); რა ინტენსივობით; უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, რა არის აღნიშნულის მიზეზი; უსარგებლიათ თუ არა დამატებითი სატელეფონო საუბრით; აქვთ თუ არა შესაძლებლობა, დღე-ღამის ნებისმიერ დროს დაუკავშირდნენ სახალხო დამცველს/ადვოკატს, უსარგებლიათ თუ არა აღნიშნული შესაძლებლობით და რასახის პროცედურების გავლა მოუწიათ ამ შემთხვევაში;
- ხელმისაწვდომია თუ არა პრესა, მათ შორის, უცხოურ ენაზე, რელიგიური ხასიათის (ამანათით, მაღაზიაში, მხოლოდ გარკვეული სახის გაზეთები ან ჟურნალები); აქვთ თუ არა რადიო და/ან ტელევიზორი (შეიძინეს დაწესებულების მაღაზიაში; მიიღეს ამანათით, სხვა); განსაზღვრულია თუ არა ტელევიზორის ყურების საათები, რომელი არხების ყურების შესაძლებლობა აქვთ.

ადმინისტრაციასთან/თანამშრომლებთან გასაუბრებისას, დოკუმენტაციის შემოწმებისას

- საჩივრის ყუთებთან დაკავშირებული პროცედურები - დალუქვა, ამოღება, გაგზავნა/ განხილვა;
- რა რეგულარობით/პროცედურების დაცვით იგზავნება და მიიღება განცხადებები/ საჩივრები ან წერილები და ამანათები; რა სახის გზავნილები მოწმდება და რა პროცედურების დაცვით; რა შემთხვევებში შეიძლება, პატიმარს უარი ეთქვას წერილის ან ამანათის გაგზავნაზე ან გადაცემაზე; შესაძლებელია თუ არა წერილის, განცხადების/ საჩივრის დაწესებულების ხარჯზე გაგზავნის შემთხვევები; რა პროცედურებია უცხოურ ენაზე შედგენილ კორესპონდენციასთან დაკავშირებით;
- რა სახის მეთვალყურეობა ხორციელდება ტელეფონით სარგებლობისას; არის თუ არა გამონაკლისები (მაგ. ადვოკატი); შესაძლებელია თუ არა დაწესებულების ხარჯზე სატელეფონო საუბარი და რა შემთხვევებში, რა პროცედურების დაცვით;
- რასახის მეთვალყურეობა ხორციელდება თითოეული ტიპის პაემნის შემთხვევაში და არის თუ არა გამონაკლისები (ადვოკატი, სასულიერო პირი, საკონსულოს წარმომადგენელი, სხვა).
- რა სახის პრესა/ჟურნალები, არხები არ არის ხელმისაწვდომი და რა მიზეზით;
- რა სახის ჟურნალები/ჩანაწერები ან დოკუმენტაცია იწარმოება პატიმრის გარე სამყაროსთან ურთიერთობის ყოველი ტიპის თაობაზე.

ბ) დასაქმება

დანახაზულაგაში ვიზიტაგდე

- რა სახის დასაქმების საშუალებებია დაწესებულებაში; თითოეულს რამდენი პატიმრის მიღება შეუძლია;
- რამდენი დასაქმებული პატიმარია დაწესებულებაში, მათ შორის, სამეურნეო ნაწილში, საწარმოებში, ეწვევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას, სხვა;
- როგორია დასაქმების საათები;
- არიან თუ არა პატიმრები, ვისაც სურს დასაქმება და უარი ეთქვა - რა მიზეზით;
- იღებენ თუ არა პატიმრები ანაზღაურებას - როგორ იანგარიშება, ერიცხება ანგარიშზე თუ სხვა.



პატიმრებთან გასაუბრების დროს

დაუსაქმებელთან:

- სურს თუ არა დასაქმება; დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა დაბრკოლებას წააწყდა;

დასაქმებულთან:

- რამდენი ხანია რაც დასაქმებულია დაწესებულებაში და რა სახის სამუშაოს ასრულებს;
- გაფორმებული აქვს თუ არა ხელშეკრულება (აქვს თუ არა ხელშეკრულების ასლი);
- იღებს თუ არა ანაზღაურებას, რა სახით; შეუძლია თუ არა მიღებული თანხის სრულად განკარგვა;
- განსაზღვრული აქვს თუ არა სამუშაო საათები და რა დროით;
- უმუშავია თუ არა ზეგანაკვეთურად და ვისი მოთხოვნით;
- კვირაში რამდენი დღე აქვს დასვენება.



ბ) განათლება

დანახაზულაგაში ვიზიტაგა

- რა სახის საგანმანათლებლო პროგრამები მოქმედებს დაწესებულებაში; ვინ ახორციელებს და როგორია მათში ჩართვის პროცედურა;
- აქვთ თუ არა პატიმრებს ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღების საშუალება და რა მეთოდით (ადგილზე, დისტანციურად, სხვა); დადებითი პასუხის შემთხვევაში, რამდენი მსჯავრდებული იღებს განათლებას და რა სახის;
- რამდენ მსჯავრდებულს შეეზღუდა განათლების მიღების უფლება და თითოეულს რა გადაცდომის გამო.

დანახაზულების დათვალიერებისას

- სასწავლო ინფრასტრუქტურა - მდგომარეობა, შესაბამისია თუ არა მიზნებთან;
- ბიბლიოთეკა - ინფრასტრუქტურა; წარმოდგენილი ლიტერატურის მრავალფეროვნება
 - მხატვრული ლიტერატურა, იურიდიული ლიტერატურა, პატიმრების უფლებების ამსახველი ტექსტები, მათ შორის, უცხო ენებზე; სამუშაო საათები.

პატიმრებთან გასაუბრების დროს

- რა სახის განათლების მიღების შესაძლებლობაა დაწესებულებაში (ზოგადი, უმაღლესი, პროფესიული) და რა პროცედურების დაცვა მოითხოვება პროგრამაში ჩართვისთვის;
- ხელმისაწვდომია თუ არა ბიბლიოთეკა - პირადად შეუძლიათ ისარგებლონ, წიგნები არის ჩამოტარებით, გადასცემენ სასურველი წიგნების/ჟურნალების სიას, სხვა;
- არის თუ არა საკმარისი არჩევანი; ითვალისწინებენ თუ არა თხოვნას გარკვეული სახის ლიტერატურის შემოტანაზე (მათ შორის, უცხო ენაზე); ხელმისაწვდომია თუ არა იურიდიული ლიტერატურა; ხელმისაწვდომია თუ არა ლიტერატურა უცხო ენაზე (მხატვრული, იურიდიული, სხვა);
- შესაძლებელია თუ არა ამანათის სახით წიგნების, ჟურნალების და სხვა სახის ბეჭდვითი პროდუქციის მიღება; არის თუ არა აკრძალვა და რა სახის.

10. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები (ბრალდებულები)

ბრალდებულებთან გასაუბრებით დაკავებიდან სასჯელადსრულების დაწესებულებაში გადაყვანამდე:

- სად, რა ვითარებაში, ვინ და როგორ დააკავეს (ეს განსაკუთრებით ახლად შესახლებულ პირებს ეხებათ);
- დაკავების დროს განუმარტეს თუ არა დაკავების მიზეზი და უფლებები;
- როგორი იყო მოპყრობა მის მიმართ, როგორც დაკავებისას ასევე, შემდგომ;
- რამდენი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა პოლიციის თანამშრომლების მეთვალყურეობის ქვეშ და რამდენ ხანში იქნა გადაყვანილი დროებითი მოთავსების იზოლატორში;
- რამდენი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა მისი დაკითხვა და რა ვითარებაში (იყვნენ თავაზიანები, იქცეოდნენ უხეშად და სხვა);
- უზრუნველყოფილი იყო თუ არა: ადვოკატის ხელმისაწვდომობით: პოლიციაში/დმი-ში, თუ პენიტენციურ დაწესებულებაში;
- სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობით;
- მოხდა თუ არა მისი შერჩევით, ნათესავის/ მესამე პირის (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, საკონსულოს ან დიპლომატიური წარმომადგენლობის) ინფორმირება მისი დაკავების შესახებ;
- გააცნეს თუ არა უფლებები, მოვალეობები და საჩივრის შეტანის წესი - დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა ფორმით (წერილობით/ზეპირად, გადასცეს შესაბამისი ბეჭდური მასალა, სხვა);
- დმი-ში ყოფნის დროს როგორ ეპყრობოდნენ - იზოლატორის თანამშრომლები, ასევე, გამომძიებლები/პროკურორები;
- დმი-ში შესახლების დროს აღენიშნებოდა თუ არა დაზიანებები; დადებითი პასუხის შემთხვევაში, ვინ აღწერა დაზიანებები, გაკეთდა თუ არა ჩანაწერი (სად, როგორ და რა ვითარებაში იყო ისინი მიყენებული). სასჯელადსრულების დაწესებულებაში შემოყვანის შემდეგ

- როგორი იყო მოპყრობა მის მიმართ პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას (მოეპყრნენ დამამცირებლად, მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა/დაზიანება, თანამშრომლები იქცეოდნენ გამომწვევად, სხვა);
- შიდა კლასიფიკაციის საკანში განთავსების შემდგომ გააცნეს თუ არა პატიმრობის მოხდის პირობები, პატიმრის უფლებები და მისდამი დაწესებულების მოსამსახურეების მოპყრობის წესები. ასევე, გაფრთხილებული იქნა თუ არა დაწესებულების დებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობის თაობაზე მისთვის გასაგებ ენაზე/ფორმით ;
- შეხვდა თუ არა ექიმს/მედიკოსს რამდენ ხანში (საჭიროების შემთხვევაში გაეწია თუ არა მას სათანადო დახმარება);
- სამედიცინო შემოწმების დროს მოხდა თუ არა ბრალდებულის გარეგნული დათვალიერება და შედგა თუ არა ცნობა;
- რამდენი ხნის განმავლობაში იყო განთავსებული შიდა კლასიფიკაციის საკანში და რა პირობებში; უზრუნველყოფილი იყო თუ არა სეზონის შესაბამისი ტანსაცმლით/ფეხსაცმლით, პირადი მოხმარების/ჰიგიენის ნივთებით; ჰქონდა თუ არა პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა;
- შეხვდა თუ არა მას ფსიქოლოგი სუიციდის რისკის მიმოხილვითი შეფასების მიზნით (შესახლებიდან რამდენ ხანში).

11. უვადო მსჯავრდებულაბი

დანახაზულაბაში ვიზიტაშო გამოსათხოვი ინფორმაცია

- რამდენი უვადო თავისუფლებისაღკვეთილი პირია განთავსებული დაწესებულებაში;
- უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები განთავსებული არიან ცალკე თუ სხვა მსჯავრდებულებთან ერთად;
- როგორია მათი დღის წესრიგი - სეირნობა, სპორტი, სარეაბილიტაციო პროგრამები, სხვა; მათ შორის, არსებობს თუ არა უვადო მსჯავრდებულების სპეციფიკურ საჭიროებებზე გათვლილი სარეაბილიტაციო პროგრამები;
- რამდენი უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი იქნა დასჯილი/წახალისებული საანგარიშო პერიოდში;
- არის თუ არა მათთვის შედგენილი სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა;
- სარგებლობენ თუ არა ისინი ფსიქოლოგიური დახმარებით (დადებითი პასუხის შემთხვევაში, რამდენი მათგანი და რა ინტენსივობით).

უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებთან გასაუბრებისას

- განთავსების პირობები - ხომ არ არის იზოლირებული (ხომ არ ექვემდებარება განსაკუთრებით მკაცრ რეჟიმს) მხოლოდ სასჯელის ზომის გამო;
- ხომ არ ექვემდებარება დისკრიმინაციულ მოპყრობას (დასჯა, გარე სამყაროსთან მოპყრობის აკრძალვა, სამედიცინო მომსახურების ხელმიუწვდომლობა, სხვა) მხოლოდ სასჯელის ზომიდან გამომდინარე.

12. მოშიშვილი პაციენტები

- საანგარიშო პერიოდში რამდენმა პაციენტმა გამოაცხადა შიმშილობა;
- გარკვეულ პროტესტის მიზეზები (აღნიშნული ინფორმაციის ქონამ სხვა საკითხების შესწავლასთან ერთად შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეცვალოს შეხედულება დაწესებულებაში არსებულ სიტუაციაზე, რეჟიმზე და სხვა საკითხებზე);
- მოიძიეთ ინფორმაცია რამდენი პაციენტი შიმშილობს მონიტორინგის ჩატარების დროს და შეხვედით მათ, გულდასმით გამოკითხეთ შიმშილობის გამოცხადების მიზეზი; გარკვეულ შედეგს თუ არა შესაბამისი ოქმი, შეაფასეთ რა პირობებში იმყოფებიან ისინი, გარკვეულ რამდენად ასრულებს დაწესებულების ექიმი მასზე დაკისრებულ მოვალეობებს; მოიპოვეთ პაციენტის გაცნობიერებული თანხმობა და შეისწავლეთ დოკუმენტები, რომელიც მოშიშვილ პაციენტს შესახებ დგება. გარკვეულ რამდენად სამართლიანია პაციენტის მოთხოვნა და რა ზომებს მიმართეს გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა.

13. სამედიცინო მონიტორინგის ძირითადი საკითხები

- ❑ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა პაციენტებისთვის:
 - ექიმთან შეუზღუდავი და კონფიდენციური კონტაქტის უფლება;
 - გადაუდებელი და სასწრაფო სამედიცინო დახმარების საკითხები;
 - ქრონიკული დაავადებების მკურნალობის ორგანიზება;
 - მიიმე და განუკურნებელი დაავადებების მქონე პაციენტთა მოვლის თავისებურებები;
- ❑ სამოქალაქო სექტორის ეკვივალენტური სამედიცინო დახმარების გაწევა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოში არსებულ ზოგადად სამედიცინო მომსახურებს სტანდარტებს;
- ❑ პაციენტის თანხმობა და კონფიდენციურობა:
 - პაციენტის ან გამოსაკვლევი პირის ინფორმირებული თანხმობა ნებისმიერ სამედიცინო მანიპულაციაზე;
 - პაციენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის სრული კონფიდენციურობა;
- ❑ პროფილაქტიკური მუშაობა, რაც ძირითადად მოიცავს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას არა მარტო მკურნალობაზე, არამედ სოციალურ და პროფილაქტიკურ დახმარებაზეც;
- ❑ სასჯელადსრულების დაწესებულებებში არსებული სოციალური ფონის შესწავლა და შეფასება (საცხოვრებელი პირობები, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, გარემოს ფაქტორები, კვება, პირადი ჰიგიენის თავისებურებები);
- ❑ ცალკეულ პაციენტთა პირველადი სამედიცინო-ფსიქოლოგიური და სოციალური შემოწმება, კონსულტირება;
- ❑ ჰუმანიტარული თანადგომა, რაც გულისხმობს სპეციალური პრინციპების დაცვას, განსაკუთრებით მოწყვლად თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ;
- ❑ ექიმთა პროფესიული დამოუკიდებლობა და პროფესიული კომპეტენტურობა -

სამედიცინო პერსონალის ძირითადი უფლება—მოვალეობები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ასევე, მათი კომპეტენტურობა და პროფესიული დამოუკიდებლობა;

- ❑ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის აღწერა, მათი თავისებურება, პრევენციული ღონისძიებების რეალობა და პერსპექტივები;
- ❑ საერთაშორისო სტანდარტებისა და არსებული მდგომარეობის შედარებითი ანალიზი, მდგომარეობის შესაბამისობა ეროვნულ სტანდარტებთან.
- ❑ სიკვდილობა და მასზე მოქმედი ფაქტორები.

პატიმრებთან გასაუბრებით

- ხდება თუ არა სამედიცინო პერსონალის მიერ ყოველდღიური შემოვლა;
- მოთხოვნის შემთხვევაში, რა ვადებში მიეწოდებათ სამედიცინო მომსახურება (დაუყოვნებლივ, მხოლოდ სამუშაო საათებში, რამდენიმე დღის შემდეგ, ჩივილების მიხედვით, სხვა);
- სად და რა ვითარებაში ხვდებიან ექიმს;
- აქვთ თუ არა ექიმთან კონფიდენციალურად გასაუბრების, სამედიცინო მომსახურების კონფიდენციალურ ვითარებაში მიღების საშუალება; უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ვინ ესწრება;
- სამედიცინო მომსახურების/მანიპულაციის წინ მიეწოდებათ თუ არა ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე - რა სახით (წერილობით, ზეპირად) და სთხოვენ თუ არა თანხმობას;
- აქვთ თუ არა საკუთარი ექიმის მოწვევის საშუალება; დადებითი პასუხის შემთხვევაში - რა პროცედურების დაცვა მოეთხოვებათ;
- მედიკამენტებით უზრუნველყოფა (ექლევა დანიშნულებით, მოთხოვნის შემთხვევაში, აწვდის ოჯახი, სხვა)
- ტუბერკულოზით ან სხვა გადამდები დაავადებით დაავადებული პატიმრის იზოლაცია (ცხოვრობენ ჯანმრთელ პატიმრებთან ერთად; ცხოვრობენ განცალკევებით, რა პირობებში არიან განთავსებული, სარგებლობენ თუ არა ვასეირნების უფლებით, მიეწოდებათ თუ არა დიეტური საკვები, სხვა;)

- სარგებლობენ თუ არა სტომატოლოგის მომსახურებით;
- ხელმისაწვდომია თუ არა ინფორმაცია (რა სახით - გასაუბრება, ბუკლეტი, სხვა) გადამდები დაავადებების პრევენციის თაობაზე;
- ხელმისაწვდომია თუ არა დამცავი/კონტრაცეფციის საშუალებები და რა სახის (პრეზერვატივი, ტაბლეტები, სხვა);
- ენდობიან თუ არა ადგილობრივ სამედიცინო პერსონალს; ნებისმიერი პასუხის შემთხვევაში - რატომ;
- ქალთა დაწესებულების მონიტორინგისას: არის თუ არა ხელმისაწვდომი გინეკოლოგის, პედიატრის (დაწესებულებაში მყოფი სამ წლამდე ბავშვებისთვის) მომსახურება - ადგილზე, დაუყოვნებლივ; ჩაწერით, სამოქალაქო კლინიკაში; სხვა.

სამედიცინო ნაწილის დათვალიერებისას

- რა ტერიტორიაზეა განთავსებული სამედიცინო ნაწილი; რამდენი და რა სახის ოთახებისგან/პალატებისგან შედგება;
- აქვთ თუ არა გადაუდებელი დახმარების აღჭურვილობა;
- სტერილიზაციის დანადგარები;
- სად/რა პირობებში არის განთავსებული მედიკამენტები;
- სტაციონარის ტიპის დაწესებულებაში, საჭიროა პალატების დათვალიერება; ასევე იმის გარკვევა თუ რა სახის პალატებია და რამდენ პაციენტზე;
- სისუფთავისა და აღჭურვილობის გულმოდგინედ დათვალიერება; არის თუ არა დაწესებულებაში შესაძლებლობა, რომ პატიმარმა ისარგებლოს ექიმის კონსულტაციით ან სამედიცინო პერსონალის მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში.

სამედიცინო პერსონალთან გასაუბრებისას

- სად და რა ვითარებაში მიმდინარეობს პაციენტების კონსულტაცია - ესწრება თუ არა არასამედიცინო პერსონალი (ყოველთვის, მხოლოდ ექიმის თხოვნით, სხვა);
- რა სპეციალისტებისგან შედგება სამედიცინო პერსონალის შტატი (საექიმო სპეციალობები, მათ შორის, ქალთა დაწესებულებებში - გინეკოლოგი, პედიატრი; სხვა

